საპოლიციო ღონისძიებების შეფასება ნამახვანის პროტესტის დროს

(3-11 აპრილის და შემდგომი მოვლენების ანალიზი)

შესავალი

ნამახვანჰესის წინააღმდეგ მიმდინარე პროტესტი უპრეცედენტოა მისი ხანგრძლივობით, სახალხოობით და ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი თვითორგანიზების ხარისხით. ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობა უკვე 200 დღეზე მეტია, მშვიდობიან პროტესტს გამოხატავს და ამისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტს იყენებს. სამწუხაროდ, აღნიშნულ პროტესტზე სახელმწიფოს ძირითადი პასუხი საპოლიციო ინსტრუმენტებია და თვეების განმავლობაში, ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ხელისუფლება აბსოლუტურ უგულისყურობას იჩენდა.

ბოლო პერიოდში სახელმწიფოს მიერ სოციალური თუ პოლიტიკური კონფლიქტების საპოლიციო ძალების გამოყენებით მართვა ტენდენციის სახეს იძენს. ,,პოლიციის შესახებ" კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ საპოლიციო მექანიზმებს ხელისუფლება ხშირად შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს მასობრივი კონტროლის მიზნით იყენებს, რაც მოქალაქეთა უფლებებში თვითნებურად და დისპროპორციულად ჩარევის რისკებს ზრდის. საპოლიციო ღონისძიებების საფუძვლების ზოგადი ხასიათი, როგორც წესი, აბსტრაქტულ საფრთხეს მიემართება, რაც კიდევ უფრო ინტენსიურს ხდის მოქალაქეთა უფლებებში თვითნებური ჩარევის რისკებს. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მოტივით ადამიანის უფლებებში უხეში ჩარევისას კი, ჰიპოთეტური კანონსაწინააღმდეგო ქმედების პრევენცია შეკრების და გამოხატვის უფლებებზე მაღალ ღირებულებად გვევლინება.

რიონის ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაწყებული პროტესტი ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის პროექტს მიემართება. პროტესტის ორგანიზატორები მიუთითებენ გაუმჭვირვალედ, საზოგადოებრივი ჩართულობის გარეშე წარმართულ პროცესზე, აგრეთვე ხელშეკრულების პირობებზე, რომელშიც უგულებელყოფილია საჯარო ინტერესები. გაჟღერებული კრიტიკის საპასუხოდ, ხელისუფლება უარს ამბობს დიალოგის პროცესზე და ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს გააგრძელოს ჰესის მშენებლობის პროცესი. სახელმწიფო თავისი ხისტი და რეპრესიული პოლიტიკით, კერძოდ, საპოლიციო ძალების მეშვეობით, დაუსაბუთებლად და თვითნებურად ერევა რიონის ხეობის მცველების მშვიდობიან შეკრების უფლებაში. გაძლიერებული საპოლიციო ღონისძიებებით "რიონის ხეობის მცველების" ფუნდამენტურ უფლებებში ამგვარი უხეში და დაუსაბუთებელი ჩარევა კი პროცესების დამატებით გართულების რისკებს, რადიკალიზების საფრთხეებს ქმნის.

 წარმოდგენილ დოკუმენტში გაანალიზებულია აპრილის დასაწყისიდან სახელმწიფოს მიერ გამოყენებული საპოლიციო ღონისძიებების დასაბუთებულობა და პროპორციულობა.

პოლიციის ბლოკპოსტები

როგორც აღინიშნა, ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო გამოსვლები უკვე 200 დღეზე მეტია, მშვიდობიანი ფორმებით მიმდინარეობს. პროტესტის ძირითად კერას, დიდი ხნის განმავლობაში სოფელი ნამოხვანი წარმოადგენდა, ადგილი საიდანაც ჰესის მშენებლობის პროცესი პირდაპირ ჩანდა და ამ ლოკაციიდან შესაძლებელი იყო პროტესტის უშუალოდ ადრესატამდე მიტანა. შესაბამისად, სწორედ ნამოხვანის ტერიტორიაზე აქციის ჩატარებაა არსებითი ელემენტი მოქალაქეთა თავშეყრის მიზნის რეალიზებისთვის. აქციების განგრძობადი ხასიათიდან გამომდინარე კი, აქციის მონაწილეები ნამოხვანში გაშლილი კარვების მეშვეობით უზრუნველყოფდნენ პროცესის უწყვეტობას, რადგან კარვები მათთვის თავშესაფარს, პროტესტის გამოხატვისთვის არსებით ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

2021 წლის 3 აპრილს, მას შემდეგ რაც რიონის ხეობაში ნამახვანჰესის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები განახლდა, შსს-მ ადგილზე დიდი რაოდენობით საპოლიციო ძალების მობილიზება მოახდინა. ამასთან, სამართალდამცავებმა სოფელ ნამოხვანისკენ მიმავალ ორივე გზაზე (ქუთაისიდან და ლეჩხუმიდან მიმავალი გზები) პოლიციის ბლოკპოსტები ჩადგა და ნამოხვანში შესასვლელი ორივე მხრიდან ჩაკეტა.[1] 2021 წლის 4 აპრილს, 12:00 საათზე ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მორიგი საპროტესტო აქცია გაიმართა. აღნიშნულ პროტესტში მონაწილეობის მიზნით სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული აქციის მხარდამჭერები პოლიციის ბლოკპოსტებზე ჩაყენებულმა სამართალდამცავებმა სოფელ ნამოხვანში კარვების მიმართულებით არ შეუშვეს.[2] ამ დღიდან რიონის ხეობაში მოვლენები შსს-ს მიერ გაძლიერებული საპოლიციო კონტროლის ფონზე ვითარდება, რა დროსაც პროტესტის მხარდამჭერებს და ადგილობრივ მოსახლეობას, დაუსაბუთებლად ეზღუდებათ ხეობაში გადაადგილების თავისუფლება, რაც როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების,[3] ისე სახალხო დამცველის[4] მიერ მიჩნეულ იქნა ფუნდამენტურ უფლებებში დაუსაბუთებელ და არაპროპორციულ ჩარევად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით,[5] საპოლიციო ძალების რიონის ხეობაში მობილიზება ნამახვანჰესის მოსამზადებელი სამუშაო პროცესის განახლებას უკავშირდებოდა, რათა ადგილზე უსაფრთხოება და მართლწესრიგი დაცული ყოფილიყო. უწყებამ რიონის ხეობაში მოქალაქეთა გადაადგილების შეზღუდვის საფუძვლად ,,პოლიციის შესახებ" კანონის 25-ე და 26-ე მუხლები მიუთითა და განმარტა, რომ "უსაფრთხოების ზომებიდან

---

[1] ხმაური რიონის ხეობაში, დაკავებულია 2 პირი - ნამახვან ჰესის მშენებლობის სამუშაოები განახლდა, ფორმულა, 03 აპრ 2021 16:00, https://formulanews.ge/News/48150

[2] რიონის ხეობაში პოლიციაა მობილიზებული, მიყვანილია წყლის ჭავლის მანქანა, ფორმულა, 04 აპრ 2021, https://formulanews.ge/News/48176

[3] დაუყოვნებლივ დატოვოს პოლიციამ რიონის ხეობა და შეწყდეს ნამახვანი ჰესის სამშენებლო სამუშაოები , https://socialjustice.org.ge/ka/products/dauqovnebliv-datovos-politsiam-rionis-kheoba-da-shetsqdes-namakhvani-hesis-samsheneblo-samushaoebi

[4] გადაადგილების შეზღუდვა არაპროპორციულია – ლომჯარია „რიონის ხეობის მცველებთან" ჩავიდა, https://netgazeti.ge/news/533274/

[5] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 04.04.2021, https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/14516

გამომდინარე..., გარკვეულ მიმართულებებზე გადაადგილების შეზღუდვა დროებით ძალაში რჩება, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი საფრთხეები და სიტუაციის შემდგომი ესკალაცია“.

,,პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის iv თავში სწორედ პრევენციული ღონისძიებებია გაწერილი და გამიჯნულია სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებისგან. კანონის 25-ე (ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა) და 26-ე მუხლები (პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა) პრევენციულ ღონისძიებებს აწესრიგებენ. 25-ე მუხლის საფუძველზე, პოლიციელი უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვება ან აუკრძალოს მას **კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, თუ ეს აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.** ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შეზღუდვა შესაძლებელია გაგრძელდეს საფრთხის აღმოფხვრამდე. ამ მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება არ უნდა იწვევდეს პირის უფლების ხანგრძლივ შეზღუდვას, ისარგებლოს საკუთარი საცხოვრებელი ადგილით.

ამავე კანონის 26-ე მუხლის საფუძველზე, პოლიცია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად **დროებით შეზღუდოს პირის გადაადგილება**: ა) თუ პირი თავისი ქმედებით **საფრთხეს** უქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; ბ) პირის მიერ ამ კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში; პოლიცია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დროებით შეზღუდოს ნივთის ფაქტობრივი ფლობა ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, თუ იგი პირმა შეიძლება გამოიყენოს საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის ხელყოფისათვის ან სხვისი ნივთის დაზიანებისათვის.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საპოლიციო ღონისძიების განხორციელების წინაპირობას პოლიციელის მიერ **საფრთხის შეფასება** წარმოადგენს. საფრთხის ცნება შემოფარგლავს პოლიციის პრევენციულ საქმიანობას, განსაზღვრავს მისი მოქმედების არეალს და ამავე დროს, იცავს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს სახელმწიფოს მხრიდან დაუსაბუთებელი ჩარევისაგან.

,,პოლიციის შესახებ” კანონის თანახმად, საფრთხედ ითვლება ვითარება, როდესაც არსებობს **საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის**, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით ზიანი მიადგება პოლიციის მიერ დასაცავ სიკეთეს; კანონის თანახმად, საფრთხის არსებობა დადასტურებული უნდა ობიექტური გარემოებით, რაც საკმარისი იქნებოდა ობიექტური დამკვირვებლისთვის, გარემოებათა გათვალისწინებით შესაბამისი დასკვნის გასაკეთებლად.

შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში პოლიციამ ობიექტური დამკვირვებლის თვალით უნდა შეაფასოს გარემოებები და გამოიტანოს დასკვნა, მოცემულ ვითარებაში მოსალოდნელია თუ არა მოვლენათა იმგვარი განვითარება, რომ **საფრთხე** შეექმნას დასაცავ სიკეთეს. მიუხედავად არსებული რეგულირებისა, ხშირად პრაქტიკაში პოლიცია ამ სტანდარტს არ იცავს და ნეიტრალური დამკვირვებლის ნაცვლად, აბსტრაქტულ საფრთხეზე მითითებით სუბიექტური

შეფასებიდან გამომდინარე იყენებს უფლების მზღუდავ ღონისძიებებს. მით უფრო, რომ "პოლიციის შესახებ" კანონით განსაზღვრული საფრთხის განმარტება, არათუ ვერ გამორიცხავს საფრთხის სუბიექტური განმარტების შესაძლებლობას, არამედ იმდენად აბსტრაქტულია, რომ მისი ამოქმედება - ღონისძიების გამოყენება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. შესაბამისად, აბსტრაქტული საფრთხის მოტივით აღნიშნული პრევენციული ღონისძიების განხორციელება სამართალდამცავ ორგანოებს უფლებამოსილებების მაქსიმალური გაფართოების შესაძლებლობას უტოვებს.

საკონსტიტუციო სასამართლო საქმეზე ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ მხოლოდ სუბიექტური აღქმის საფუძველზე თავისუფლების უფლების შეზღუდვის დაუშვებლობაზეც საუბრობს: „[...] **დაუშვებელია, რომ პირის თავისუფლებაში ჩარევა ეფუძნებოდეს მხოლოდ სუბიექტურ განცდას, წინათგრძნობას ან ინტუიციას. პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ეჭვის წარმოქმნა ისეთ ფაქტს, გარემოებას ან მათ ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს ეჭვის წარმოქმნის საფუძვლიანობაში დაარწმუნებს**.[6]"

მოცემულ შემთხვევაშიც, 3 აპრილიდან რიონის ხეობაში ნამოხვანისკენ მიმავალ გზებზე ბლოკპოსტების ჩადგმისას, სამართალდამცავების მიერ განმარტებული არ ყოფილა, თუ რა საფრთხეს გულისხმობდა პოლიცია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საფრთხე არ ყოფილა კონკრეტული და მყისიერი და მისი მოსალოდნელობა დასაბუთებული არ იყო ობიექტური ინფორმაციითა და გარემოებებით. შედეგად, პოლიციის პრევენციულ ღონისძიებას, როგორც გადაადგილების თავისუფლების, ისე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში დაუსაბუთებელი და უხეში ჩარევა მოჰყვა.

საკონსტიტუციო სასამართლო ზოგადად ნებისმიერი უფლების შეზღუდვასთან მიმართებით აღნიშნავს, რომ მათი „შეზღუდვა მხოლოდ მკაფიო, არაორაზროვანი ნორმების საფუძველზეა გამართლებული;" „კანონში დეტალურად, მკაფიოდ, საკმარისი დამაჯერებლობითა და სიცხადით უნდა იყოს მოცემული უფლებაში ჩარევის კონკრეტული მიზანი, ამოცანები, საფუძვლები. არაორაზროვანი, ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წესი". სასამართლოს განმარტებით, ეს მოთხოვნა გულისხმობს ისეთი საკანონმდებლო სისტემის შექმნას, რომელიც პირს უქმნის საკუთარი ქმედებების სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესაძლებლობას და იცავს სამართალშემფარდებლის თვითნებობისაგან. ბუნდოვანი და გაუგებარი კანონმდებლობა **ქმნის ნოყიერ ნიადაგს თვითნებობისათვის,** შესაბამისად, კანონმდებელმა მაქსიმალურად მკაფიო, განსაზღვრული ნორმატიული რეგულირებით უნდა შეამციროს თვითნებობის რისკები სამართალშეფარდების პროცესში.[7]

---

[6]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება ,, საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, პ. 29;

[7] 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 29; 37;

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებით მაღალ სტანდარტს აწესებს, სამართალდამცავების საქმიანობისას **იმ საპოლიციო ფუნქციის (მოქმედების) დამდგენი ნორმების მიმართ, რომლებიც კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვას იწვევს“.**[8]

შეჯამებისთვის, პოლიციის მიერ 3 აპრილიდან სოფელ ნამოხვანისკენ მიმავალ გზებზე სპეციალური ბლოკპოსტების ჩადგმით უსაფუძვლოდ და დისპროპორციულად შეიზღუდა მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლება, რასაც თავის მხრივ ეფექტი ჰქონდა ადგილზე, სოფელ ნამოხვანში შეკრებისა და გამოხატვის უფლებით შეუფერხებლად სარგებლობაზე.

კარვების დაშლა

11 აპრილს პოლიციამ სოფელ ნამოხვანში “რიონის ხეობის მცველების” კარვები დაშალა და ადგილზე დარჩენილ აქციის მონაწილეებს პროტესტის ამ ფორმით გაგრძელების შესაძლებლობა აღარ მისცა. სამართალდამცავების მიერ კარვების დაშლა და ამ გზით ნამოხვანში პროტესტის შეწყვეტა დაუსაბუთებელი და არაპროპორციული საპოლოციო ძალის მაგალითს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე პოლიციის განმარტებები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო: აქციის მონაწილეების განმარტებით[9], 11 აპრილს კარვების დაშლის პირველ მიზეზად ჯერ წინა დღეს შეკრებაზე მყოფი ახალგაზრდა მამაკაცის წყალში გადახტომა[10] და გაუჩინარება დასახელდა. მოგვიანებით კი, შსს-მ კარვების დაშლის და ადგილზე პროტესტის შეწყვეტის საფუძვლად, მდინარე რიონში წყლის დონის განსაკუთრებული მატება და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის საფრთხე მიუთითა.[11]

აღსანიშნავია, რომ მდინარის ადიდების რისკები დღემდე დადასტურებული არ არის რელევანტური მეტეოროლოგიური დასკვნით. მიუხედავად ამისა, გუმათჰესთან ჩადგმული რკინის ჯებირების საშუალებით, პოლიცია პროტესტის მხარდამჭერებს არჩეული მშვიდობიანი ფორმით ნამოხვანში შეკრების გამართვის შესაძლებლობას დღემდე არ აძლევს. ამასთან, დასახელებული ჰიპოთეტური საფრთხეები, მიმართული იყო უშუალოდ შეკრების შეწყვეტისკენ და არა ზოგადად, ადგილობრივი მაცხოვრებლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, პოლიციამ აქციის მხარდამჭერებს სოფელ ნამოხვანში, გონივრულ ალტერნატიულ სივრცეში კარვების განთავსებაზეც უარი განუცხადა.[12] აქვე უნდა

---

[8]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ. 25.

[9] მაკა სულაძის ახსნა- განმარტება, 16.04.2021, გუმათი;
[10] ნამოხვანში ჯერ ისევ ეძებენ ახალგაზრდა კაცს, რომელიც რიონში გადახტა
https://www.radiotavisupleba.ge/a/31197648.html
[11] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება
https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/14531
[12] ვარლამ გოლეთიანი: შსს თავადვე აბათილებს რიონის ადიდების გამო კარვების დაშლის ვერსიას
https://www.radiotavisupleba.ge/a/31199012.html

აღინიშნოს კარვების აღებიდან მეორე დღესვე პოლიციის მიერ ამ ტერიტორიის გადათხარა, რაც კიდევ ერთი არგუმენტია, რომ სამართალდამცავების მიზანი არა აქციის მონაწილეების უსაფრთხოება, არამედ კონკრეტულ ადგილას, ნამოხვანში შეკრების პროცესის შეწყვეტა იყო.

შესაბამისად, შსს-ს მიერ კვლავ აბსტრაქტული საფრთხის მოტივით განხორციელებულმა ქმედებებმა ერთობლიობაში გამოიწვია კონკრეტული ფაქტობრივი შედეგი - აქციის შეწყვეტა. შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობას დაუსაბუთებლად და უკანონოდ წაერთვა შერჩეულ ადგილზე, შერჩეული ფორმით მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა.

გასათვალისწინებელია, რომ აქციის ორგანიზატორებისთვის სწორედ სოფელ ნამოხვანის ტერიტორიაზე აქციის ჩატარება წარმოადგენდა გამოხატვის არსებით კომპონენტს, რადგან იმ ტერიტორიიდან უშუალოდ შეეძლოთ ჰესის მოსამზადებელ სამუშაოებზე ვიზუალური დაკვირვება და ამ პროცესის მშვიდობიანი გზით გაპროტესტება. აქციების განგრძობადი ხასიათიდან გამომდინარე კი კარვები არსებითი ინსტრუმენტი იყო, რათა მონაწილეებს ეფექტიანად ესარგებლათ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით. ამასთან, შეკრება ცალსახად ატარებდა მშვიდობიან ხასიათს და აქციების რამდენიმეთვიანი მსვლელობა სწორედ ამას ადასტურებს.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. კონსტიტუციის თანახმად ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.[13]

,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ'' კანონის თანახმად, „შეკრება" არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით[14]; შეკრება თავის მხრივ, დაკავშირებულია თანამოაზრეთა გარკვეული ჯგუფის არსებობასთან, გულისხმობს აზრის გამოხატვის კოლექტიურ შესაძლებლობას.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, როგორც გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზებას უწყობს ხელს. ამასთან, შეკრების და მანიფესტაციის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამ უფლების, ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლების სხვა ფორმების, შეზღუდვა დასაშვებია კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის, სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, შეკრების მშვიდობიანი ხასიათის

---

[13] საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[14] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1(ა) პუნქტი;

უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობა მის მონაწილეებს გარკვეული სახის შეზღუდვებს უწესებს.

კერძოდ, კანონსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციისა და შეკრების მშვიდობიანი ხასიათის შენარჩუნების მიზნით იკრძალება ხელისუფლების დამხობისკენ და/ან მისი ძალადობრივი გზით შეცვლისკენ მოწოდება, რომელიც ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს ქმნის“[15]. გარდა ამ საფუძვლისა, იმისათვის რომ სახელმწიფოს წარმოეშვას შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის უფლება, აუცილებელია სახეზე იყოს რომელიმე შემდეგი გარემოება:[16]

ა) შეკრების მონაწილეებმა იქონიონ ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი, ადვილაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება ან ცივი იარაღი;

ბ) იქონიონ ისეთი საგანი ან ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით;

გ) იქონიონ ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/ და მომწამვლელი ნივთიერება.

ამასთან, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონაწილეებს ეკრძალებათ, განზრახ შექმნან დაბრკოლებები ტრანსპორტის გადაადგილებისთვის.

შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობა არ იცნობს საჯარო სივრცეში კარვების და სხვა დროებითი კონსტრუქციების გაშლის აკრძალვას.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს სამართლებრივ სტანდარტს, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციით დაცულ სფეროში მხოლოდ მშვიდობიანი და არაძალადობრივი ხასიათის შეკრება ხვდება, რამდენადაც **დაუშვებელია, კონსტიტუციური უფლება თავად კონსტიტუციით დაცული დემოკრატიული წესწყობილების ხელყოფისკენ იყოს მიმართული და ქმნიდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების საფუძველს**[17].

---

[15] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი;

[16] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი;

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება,- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის” , მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II, პარ. 90.

შეკრების თავისუფლების სრულფასოვნად რეალიზების უზრუნველსაყოფად, ეროვნული კანონმდებლობა სახელმწიფოს ორი სახის ვალდებულებას აკისრებს: 1. ხელი არ შეუშალოს კანონით დადგენილი წესის დაცვით შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებასა და ჩატარებას, მოქალაქეთა მიერ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას;[18] (ნეგატიური ვალდებულება); 2. უზრუნველყოს შეკრების მშვიდობიანად წარმართვა და ამ მიზნით, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის, შესაბამისი კანონმდებლობის შექმნისა და მისი ეფექტიანი აღსრულების გზით[19] (პოზიტიური ვალდებულება).

მოცემულ შემთხვევაში, ნამოხვანში ორგანიზებული შეკრების არც ერთ ეტაპზე ადგილი არ ჰქონია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ მოწოდებას, ან ისეთი მოწოდებას, რომელიც ემსახურება ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის აღნიშნული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. აგრეთვე საგულისხმოა, რომ აქციის მიმდინარეობისას მისი მონაწილეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია კანონით აკრძალულ რომელიმე ქმედებას, მათ შორის, აკრძალული საგნების ფლობას, შენობის შესასვლელებისა და საავტომობილო გზის ბლოკირების ან დაწესებულების საქმიანობის შეფერხებას. შესაბამისად, სამართალდამცავთა მიერ მიერ კარვების დაშლა და ამ გზით შერჩეულ ადგილას პროტესტის შეწყვეტა მშვიდობიანი შეკრების უფლებაში უხეშ და დაუსაბუთებელ ჩარევას წარმოადგენს.

„დროის, ადგილისა და ფორმის“ არჩევის თავისუფლება

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება ინსტრუმენტული უფლებაა რომელიც ამ უფლებით მოსარგებლე პირს/პირებს გრძნობებისა და შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს. მას ორი თანაბრად მნიშვნელოვანი უფლებისაგან განუყოფელი ასპექტი აქვს: შეკრება და მანიფესტაცია, როგორც აზრის გამოხატვის ფორმა და კონკრეტული აზრი, რომელსაც შეკრება ან მანიფესტაცია ემსახურება […]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, “შეკრებაში მონაწილენი თავად განსაზღვრავენ იმ ფორმას, რომელიც შეკრების მიზანს საუკეთესოდ გამოხატავს.” ამასთან, “შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება მოიცავს შეკრების გამართვის ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლებას”. საქართველოს კონსტიტუცია კი ამ უფლების შეზღუდვას დასაშვებად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს თუკი მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, შეკრების უფლება მოიცავს შეკრების მონაწილეთა მიერ შეკრების სასურველი ადგილის, დროისა და მანერის არჩევის თავისუფლებას. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ

[18] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის, მე- 2 პუნქტი;
[19] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე, „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. პარ. 8.

საქმეში ბალჩიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ[20] აღნიშნა, რომ სახელმწიფომ არა მარტო უნდა დაიცვას მშვიდობიანი შეკრების უფლება, არამედ თავი უნდა შეიკავოს ამ უფლების არაგონივრული შეზღუდვისაგან. სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას ინდივიდი სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან, ამავდროულად აღნიშნული მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყოს ამ მუხლით გარანტირებული უფლების ეფექტური დაცვა. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც დემონსტრანტები არ მიმართავენ ძალადობას, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა გამოიჩინონ შემწყნარებლობა მშვიდობიანი მანიფესტანტების მიმართ იმისათვის, რომ კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებულმა უფლებამ მშვიდობიან შეკრებაზე არ დაკარგოს თავისი შინაარსი[21];

osce / odihr-ის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, შეკრების მონაწილეებს უნდა შეეძლოთ საკუთარი გზავნილის ეფექტური კომუნიკაცია, რისთვისაც, მათ შორის, უფლება აქვთ შეიკრიბონ ისეთ ადგილას, რომელიც ექცევა სამიზნე აუდიტორიის „მხედველობისა და სმენის“ არეში.[22] ამასთან, კარვისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების აგება მოიაზრება მშვიდობიანი შეკრების უფლებით დაცულ სფეროში. გარდაუვალი აუცილებლობიდან გამომდინარე შეკრების ადგილის შეცვლის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია შეკრების მონაწილეებს შესთავაზოს ალტერნატიული ადგილი, რომელიც მაქსიმალურად იქნება დაახლოებული შეკრების მონაწილეების მიერ თავდაპირველად არჩეულ ადგილმდებარეობასთან.[23] მსგავსად, დაუშვებელია შეკრების ფორმის, მათ შორის, კარვების აღმართვის შეზღუდვა, თუ იგი ხელს უშლის შეკრების მონაწილეების მხრიდან საკუთარი გზავნილის ეფექტურ კომუნიკაციას.[24] შეკრების მონაწილეებს ასევე უნდა მიეცეთ შეკრების ხანგრძლივობის განსაზღვრის შესაძლებლობა. შეკრების ხანგრძლივობა შესაძლოა იყოს თავად იმ გზავნილის ნაწილი, რომლის კომუნიცირებასაც შეკრების მონაწილეები

---

[20] Balcik and Others v. Turkey, ECHR, no. 25/02, 29.02.2008;

[21] იქვე, პარა. 52;

[22] European Commission for Democracy trough law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, paras 22, 147, available at: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e;

[23] European Commission for Democracy trough law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 82, available at: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e

[24] European Commission for Democracy trough law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 148, available at: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e;

ცდილობენ.[25] ,,მშვიდობიანი შეკრების შესახებ" სახელმძღვანელო პრინციპების მე-19 პუნქტის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შეკრების გამართვა იმ საჯარო ადგილას, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს შეკრების ორგანიზატორი და, ზოგადად, ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. ამავე სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, მესამე პირების საქმიანობისათვის დროებითი ხასიათის შეფერხება, ხელის შეშლა და დაბრკოლება ,,მშვიდობიანი" შეკრების თავისუფლების ფარგლებში ექცევა.

როგორც წესი, აქციის ორგანიზატორები შეკრების ადგილს და ფორმას ირჩევენ იმ ნიშნით, რომ კონკრეტული შეტყობინებები მივიდეს კრიტიკის ადრესატამდე. შეკრების ჩატარება შესაძლებელი უნდა იყოს იმგვარად, რომ სამიზნე აუდიტორიას მისი დანახვა და მოსმენა შეეძლოს. აქციის ფორმა და ადგილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეკრების უფლების განხორციელება სხვა ფორმით და ადგილას წარმოუდგენელი შეიძლება იყო. საქმეში, რომელიც გაერთიანებული სამეფოში 2009 წელს განიხილებოდა, შეეხებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე აქციის გამართვას კარვებით. 23 წლის განმავლობაში ერთ-ერთი ორგანიზაცია ატომური იარაღის დაწესებულებასთან ყოველი თვის მეორე შაბათ-კვირას შლიდა კარვებს, ეწყობოდა საჯარო შეხვედრები და ვრცელდებოდა ლიფლეტები. 2007 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, აქციის მონაწილეებს კონკრეტულ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ამ ფორმით აქციის ჩატარება შეეზღუდათ. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა აქციის მონაწილეების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება და განმარტა, რომ აქციის კონკრეტულ ფორმას და სახეს (კარავებს) შემენილი ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობა და განუყოფელი იყო პროტესტის გზავნილთან.[26]

შეკრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის საფუძველზე, პროპორციულობის პრინციპის დაცვით. არაპროპორციულად უნდა იქნეს სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული რუტინული შეზღუდვები, რომლებიც ფუნდამენტურად ცვლიან შეკრების ხასიათს, მაგალითად შეკრების ლოკაციას.[27]

შეკრების უფლების შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს გარემოებების ობიექტურ და სრულყოფილ შეფასებას. შეკრების უფლების შეზღუდვა არ შეიძლება დაეყრდნოს დაუსაბუთებელ შიშსა და ვარაუდს, არამედ უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებს, რომლის

---

[25] European Commission for Democracy trough law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, paras 60 and 146, available at: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e

[26] Tabernacle v. Secretary of State for Defence, England and Wales Court of Appeal, 2009;

[27] European Commission for Democracy trough law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 29, available at: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e

წარმოდგენის ტვირთიც სახელმწიფოს ეკისრება. შეკრების შეზღუდვამდე, სახელმწიფომ უნდა წარმოაჩინოს, რომ შეუძლებელი იყო შეკრების უფლების განხორციელების ხელშეწყობა სხვა, ნაკლებად მზღუდავი გზით.[28] ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეკრებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ უსაფრთხოებას სახელმწიფო, უპირატესობა უნდა მიანიჭოს დამატებითი ზომების მიღებას ამგვარი საფრთხეების შესამცირებლად და უფლების შეზღუდვა მიიჩნიოს როგორც უკიდურესი ზომა.[29]

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლება ცდილობს ფიზიკური ბარიერები შეუქმნას და ხელი შეუშალოს რიონის ხეობის მცველების ლეგიტიმურ, მშვიდობიან და სამართლიან პროტესტს. სახელმწიფო თავისი ხისტი, რეპრესიული და ძალადობრივი პოლიტიკით კიდევ ერთხელ უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ შეკრებისა, გამოხატვის, თავისუფალი მიმოსვლისა და გადაადგილების ფუნდამენტურ უფლებებს.

დაკავებები/ჯარიმები

პოლიციის ბლოკპოსტების ჩადგმის და კარვების დაშლის გარდა, ნამახვანჰესის აქციის მონაწილეების სამართალდამცავები სხვა რეპრესიულ მეთოდებსაც იყენებდა, როგორიცაა დაკავება და ჯარიმები. ხელისუფლება, ერთი მხრივ, ოფიციალურ განცხადებებში დიალოგზე მზადყოფნას აცხადებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხეობაში მრავალრიცხოვანი საპოლიციო ძალის მობილიზებით, დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესებით და ადგილობრივების უფლებების უხეში დარღვევით, თავად უწყობს ხელს პროცესის ესკალაციას და საგნობრივი, კონსტრუქციული დიალოგის სივრცეს არ ტოვებს.

14 აპრილს, სოფელ გუმათში მიმდინარე საპროტესტო აქციაზე პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის 6 პირი დააკავა. შსს-ს განცხადებით, პოლიციის მიერ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, აქტივისტებმა არ გაათავისუფლეს გზის სავალი ნაწილი, არ დაემორჩილნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს, რის შემდეგაც პოლიციამ გამოიყენა

[28] European Commission for Democracy trough law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, paras 129-135, available at: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e

[29] European Commission for Democracy trough law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 138, available at: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e

იძულების პროპორციული ღონისძიებები.[30] აღნიშნული შემთხვევის მსგავსად, აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას წინა პერიოდებშიც ჰქონდა ადგილი.

3 აპრილს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნამოხვანის მიმართულებით გზების ჩაკეტვის შემდეგ, 12 ადამიანი, რომელიც რიონის ხეობაში ნამახვანჰესის მშენებლობას აპროტესტებდა, პოლიციამ სოფელ გუმათში, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის გამო, 2000 - 2000 ლარით დააჯარიმა. ისინი გუმათში, მანქანებში ღამის გასათევად მას შემდეგ დარჩნენ, რაც სამართალდამცველებმა დღის განმავლობაში ნამოხვანში კარვების მიმართულებით გადაადგილების უფლება არ მისცეს და უკან დაბრუნების შესაძლებლობაც აღარ ჰქონდათ დროის სიმცირის გამო.[31] პოლიციამ 4 აპრილს, სოფელ ზარათის მაცხოვრებელი მირიან მაღლაფერიძე, რომელიც გვერდით სოფელში (მოფურჩხეთში) მაღაზიაში პურის საყიდლად გადაადგილდებოდა მას შემდეგ შეაჩერა და პირადობის მოწმობა მოსთხოვა, რაც იგი სოფელში დიდი რაოდენობით პოლიციელების მობილიზების გამო ტელეფონით ვიდეოს იღებდა. მოთხოვნაზე მაღლაფერიძემ უპასუხა, რომ მშობლიურ სოფელში პირადობის მოწმობას თან არ ატარებს. მას შემდეგ კი რაც პურის საყიდლად გადაადგილებაზე პოლიციისგან უარი მიიღო, სამართალდამცავებს პურის შეძენა სთხოვა, რაც პოლიციამ შეურაცხყოფად მიიღო და იგი წვრილმანი ხულიგნობისა და დაუმორჩილებლობის მუხლებით დააკავეს.[32] 9 აპრილს, სოფელ ნამოხვანში, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით დააკავეს პროტესტის მონაწილე ლაშა ქუთათელაძეც. სასამართლო პროცესზე პოლიციელმა განმარტა, რომ ქუთათელაძის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა რიონის ხეობაში გადაადგილებაში გამოიხატა. აღნიშნულ შემთხვევაში მოსამართლემ ლაშა ქუთათელაძე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად არ ცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა.[33]

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიხედვით, პირის დაკავება, ლეგიტიმურ შეკრებაში მონაწილეობის გამო მისი დასჯის მიზნით მიჩნეულ იქნება თვითნებურად და გაუმართლებლად[34]. შეკრების მონაწილეებისათვის გაუმართლებელი და არაპროპორციულად მაღალი სანქციების დაკისრებამ შესაძლოა მსუსხავი ეფექტი იქონიოს შეკრების მონაწილეებზე და გაუტოლდეს შეკრების უფლების არაპირდაპირ შეზღუდვას.[35]

---

[30] "პოლიციამ გამოიყენა იძულების პროპორციული ღონისძიებები, დაკავებულია 6 პირი" – შსს გუმათზე https://netgazeti.ge/news/534863/

[31] პოლიციამ ნამახვანჰესის მოწინააღმდეგე 12 აქტივისტი 2000 - 2000 ლარით დააჯარიმა https://reginfo.ge/people/item/21736-poliziam-namaxvanbesis-moxinaagmdegeebi-gumatshi-2000-%E2%80%93-2000-larit-daajarima

[32] ნამოხვანის ბლოკადა https://mtisambebi.ge/news/people/item/1293-namoxvanis-blokada

[33]

[34] European Commission for Democracy trough law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 220, available at: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e

[35] European Commission for Democracy trough law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition),

მოცემულ შემთხვევაშიც, ნამახვანჰესის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის დროს გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავებები და ადმინისტრაციული ჯარიმები არსებითად დაუსაბუთებელი იყო და მიმართული იყო არა საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის უზრუნველსაყოფად, არამედ საპროტესტო მუხტის შემცირებისკენ.

შეჯამება და რეკომენდაციები

ნამახვანჰესის წინააღმდეგ 200 დღეზე მეტხნიანი პროტესტი აჩვენებს ერთი მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზების უპრეცედენტო ხარისხს, მეორე მხრივ კი სახელმწიფო პოლიტიკის ჩავარდნას, ადგილობრივი თემისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღოს დემოკრატიული, ინკლუზიური და ღია პროცესების შედეგად. ნამოხვანის პროტესტი ასევე ააშკარავებს სახელმწიფოს ვიწრო ხედვას სოციალურ პროტესტსა და უკმაყოფილებაზე, რომელიც არსებითად მხოლოდ საპოლიციო ძალას ეყრდნობა და დიალოგის და დემოკრატიული ჩართულობის ცნებებს მხოლოდ დამხმარე, ფასადურ მექანიზმებად განიხილავს.

მიმდინარე წლის აპრილიდან ადგილზე სამართალდამცავი ძალების მასშტაბური მობილიზება, სოფელ ნამოხვანთან საპოლიციო კონტროლის გაძლიერება და ადგილზე მიმდინარე განგრძობადი პროტესტის იძულების გზით შეწყვეტა პირდაპირ უკავშირდება კერძო კომპანიის ინტერესს - შეუფერხებლად გაგრძელებულიყო ჰესის მოსამზადებელი სამუშაოები. ამის პარალელურად, ხელისუფლებას ამ დრომდე არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები პროტესტის ორგანიზატორების მოთხოვნების რაიმე ფორმით დასაკმაყოფილებლად. ნაცვლად თანასწორ პირობებში დიალოგის წარმოებისა, ხელისუფლება მუდმივად ცდილობდა პროტესტის მონაწილეების არგუმენტების სხვადასხვა გზით დელეგიტიმაციას.

Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 36, available at:
https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e